საქართველოს მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR DEVELOPMENT OF SCIENCES AND SOCIETY

ISSN 1512-0333

1(36)

თბილისი TBILISI
2010

public, Inter-institutional political discourse, Discourse between a political institution and a citizen [Шейгал 2004: 134-136].

We think that the research of political discourse according to the intersubjective parameter is very interesting and perspective as it can reveal considerably more and specific relationships between the communicants.

3. **Socio-cultural differentiation** which implies typology of political discourse according to the system of ideological values and cultural norms of the groups participating in it. The study of empirical material has shown that basic stock of political words designating ideologically marked concepts is differently understood by political opponents. On this basis scholars speak about various ideological thesauri in the minds of language bearers. The study of socio-cultural variants of political discourse can reveal those linguopragmatic characteristics that serve as their integrating or differentiating markers.

In this respect, special attention should be paid to the researches carried out by American linguists in which the notion of *political sociolect* is employed [Safire 1993: 12]. It implies a particular ideological-cultural layer of political discourse that serves as an instrument of group solidarity (i.e. cooperation) with its characteristic specific language forms (including, emotionally marked axiological lexical units and the system of words designating ideologically dominant values, slogans, quotations, allusions and so on, that express the political platform of a given social group.), speech style, strategy and tactics. It should be noted, that socio-linguistic research of political discourse has not lost its importance yet. It has been attracting scholars' attention for years and will definitely do so in future.

4. **Differentiation according to performativity.** It is based on the Austinean definition according to which only those sentences can be treated as performatives whose uttering is itself the action [Austin 1962: 34]. We consider the research of performative political utterances, their differentiation and revelation of linguopragmatic characteristics for each type to be as interesting and perspective for typological analysis of political discourse as their research by other parameters.

Such is our vision of interdisciplinary and interparadigmatic methodology of research of political discourse. It can be regarded as one of the versions of linguosemiotic analysis of this multidimensional phenomenon which will probably need further improvement and refinement.

List of references

1. **Austin, John Langshaw** 1962, *How to do things with words.* London: Oxford University Press.
2. **Chilton, Paul** and **Ilyin, Mikhail** 1993, "Metaphor in political discourse: the case of the 'Common European House' ". In: *Discourse and Society. Vol. 4, No.1.* London: Sage Publications, p. 7-31.
3. **De Landtsheer, Christ'l** 1998, "The political rhetoric of a United Europe." In: Feldman, Ofer and Chirst'l de Landtsheer (Eds.), *Politically speaking: a worldwide examination of language used in the public sphere.* New York: Praeger Publishers, p. 35-51.
4. **Hacker, Kenneth L.** 1996, "Political Linguistic Discourse Analysis." In: Stuckey, Mary E. (Ed.), *The Theory and Practice of Political Communication Research.* New York: New York State UP, p. 28-55.
5. **Lakoff , George** 1995, "Metaphor, Morality and Politics or, Why Conservatives Have Left the Liberals in the Dust." In: *Social Research, vol. 62, No. 2 (summer).*
6. **Nimmo, Dan D.** and **Combs, James E.** 1983. *Mediated Political Realities.* New York: Longman.
7. **Safire, William** 1993, "Introduction to Safire's New Political Dictionary." In: Safire, William, *Safire's New Political Dictionary.* New York: Random House, p. xiii – xxvii.
8. **Van Dijk, Terence A.** 1998, "What is political discourse analysis?" In: Blommaert, Jan and Bulcaen, Chris (Eds.), *Political Linguistics.* Amsterdam, p. 124-142.
9. **Wodak, Ruth** 1989, "The power of political jargon – a 'Club-2' discussion." In: *Language, Power and Ideology: Studies in Political Discourse.* Amsterdam-Philadelphia: John Benjamins Publ. Co., p. 137-164.
10. **Макаров, Михаил** 2003, *Основы теории дискурса.* Москва: «Гнозис».
11. **Шейгал, Елена** 2004, *Семиотика политического дискурса.* Москва: «Гнозис».

ნინო კირვალიძე

პოლიტიკური დისკურსი, როგორც ინტერდისციპლინური და ინტერპარადიგმული კვლევის საგანი

ცივილიზაციის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო პოლიტიკური სიტუაციის სასიცოცხლო მნიშვნელობამ განაპირობა ის, რომ პოლიტიკა და პოლიტიკური დისკურსი ექცევა მკვლევართა ყურადღების ცენტრში. ეს შეიძლება მიჩნეულ იქნეს სოციალურ შეკვეთად, რომელიც მიზნად ისახავს როგორც პოლიტიკური აზროვნების და პოლიტიკური ქცევის თავისებურებების შესწავლას, ასევე იმ ენობრივი საშუალებების კვლევას, რომელსაც მეტყველი სუბიექტი გამოიყენებს საზოგადოებრივი ცნობიერების მანიპულირების და მონიტორინგისათვის.

პოლიტიკური დისკურსისადმი მიძღვნილი სპეციალური გამოკვლევების განზოგადება გვიჩვენებს, რომ მას ძირითადად განიხილავენ ოთხი რაკურსით:

1. პოლიტიკური ინტერპრეტაციის პოზიციიდან, რის საფუძველზეც კეთდება პოლიტოლოგიური ხასიათის დასკვნები;
2. ლინგვისტური თვალსაზრისით, როდესაც ხდება ტექსტის, როგორც ენობრივი მაკრონიშნის ანალიზი სოციოკულტურულ და პოლიტიკურ კონტექსტში.
3. სოციოფსიქოლოგიური თვალსაზრისით, რაც მიზნად ისახავს მეტყველი სუბიექტის იმ სტრატეგიების გამოვლენას და განზოგადებას, რომლებსაც ის მიმართავს ფარულად თუ აშკარად ადრესატზე პოლიტიკური ზემოქმედების მოსახდენად.
4. ინდივიდუალურ-ჰერმენევტიკული თვალსაზრისით, რის შედეგადაც ხდება ავტორის სუბიექტური შეხედულებების გამოვლენა კონკრეტულ პოლიტიკურ სიტუაციასთან

დაკავშირებით.

მათგან, ლინგვისტურ კვლევას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან პოლიტიკური აზროვნება და ქმედება განუყოფელია პოლიტიკური მეტყველებისგან. ფაქტიურად, ნებისმიერი პოლიტიკური იდეა ან აქცია იბადება, მზადდება, რეალიზდება და კონტროლირდება ენის საშუალებით. პოლიტიკური დისკურსის კვლევისადმი ინტერესის ზრდამ განაპირობა ენათმეცნიერებაში ახალი მიმართულების – პოლიტიკური ლინგვისტიკის წარმოშობა, რაც შეიძლება ასევე აიხსნას თავად ლინგვისტური თეორიის შინაგანი მოთხოვნილებითაც, რომელიც თავისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ყოველთვის იჩენდა ინტერესს ენობრივი სისტემის ფუნქციონირების რეალური სფეროებისადმი.

მიგვაჩნია, რომ პოლიტიკური დისკურსი წარმოადგენს ინტერდისციპლინური კვლევის საგანს, რომელიც უნდა განხორციელდეს ლინგვოკულტუროლოგიურ ჭრილში, რადგანაც კულტურის ფართო გაგება საშუალებას გვაძლევს, ერთმანეთს დავუკავშიროთ და ინტეგრირებულად განვიხილოთ პოლიტიკური დისკურსის ინტერდისციპლინარიზმის შემქმნელი ისეთი ასპექტები და მათი შესაბამისი ჰუმანიტარული დარგები, როგორიცაა: პოლიტიკა, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, კომუნიკაციის თეორია და ლინგვისტიკა.

თავის მხრივ, პრობლემის ლინგვოკულტუროლოგიური განხილვა განაპირობებს პოლიტიკური დისკურსის კვლევას ინტერპარადიგმულ ჭრილში, რადგანაც სწორედ ასეთი მიდგომა ხდის შესაძლებელს დადგინდეს ის ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური მახასიათებლები, რომელთა ერთობლიობაც ქმნის პოლიტიკური დისკურსის ჟანრობრივ-სტილისტურ ტიპობრიობას.

ჩვენი აზრით, პოლიტიკური დისკურსის კვლევის მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს მისი ლინგვოსემიოტიკური ინტერპრეტაცია სისტემურ-სტრუქტურული, კოგნიტურ-სემანტიკური და ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური პარადიგმების ჭრილში, რაც იძლევა საფუძველს, წარმოჩენილ და განზოგადებულ იქნეს როგორც პოლიტიკური დისკურსის ტექსტუალურობის სემანტიკური, სინტაქტიკური, ინფორმაციულ-კომუნიკაციური და ენობრივ-პრაგმატიკული თავისებურებები მისი ექსპრესიულ-ემოციური და ილოკუციური ასპექტებით, ასევე პოლიტიკური აზროვნების, სტრატეგიებისა და პოლიტიკური ქცევის თავისებურებები.

აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ლინგვისტური აზროვნების განვითარების თანამედროვე, ლინგვოკულტუროლოგიურ ეტაპზე პოლიტიკური დისკურსის, როგორც სპეციფიკური ვერბალური მაკრონიშნის, კვლევა ინტერდისციპლინური და ინტერპარადიგმული მეთოდოლოგიით უნდა განხორციელდეს პირს-მორისისეული სამგანზომილებიანი სემიოტიკური მოდელით.

როგორ შეიძლება რეალიზებულ იქნეს კვლევის ხსენებული მეთოდოლოგია? პირველ რიგში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია დავაზუსტოთ თავად "პოლიტიკური დისკურსის" ცნება. არსებობს ამ ტერმინის ფართო და ვიწრო გაგება.

ფართო გაგებით, პოლიტიკური დისკურსი განიმარტება, როგორც პუბლიცისტური სფეროს ენა. მაგალითად, ლანდშერის ნაშრომში "The Political Rhetoric of United Europe" [de Landtsheer 1998: 35] მითითებულია, რომ რამდენადაც პრაქტიკულად ყველა საჯარო გამოსვლას პოლიტიკური დატვირთვა აქვს, იმდენად პოლიტიკური დისკურსი შეიძლება განხილულ იქნეს პუბლიცისტურ ენად, რომელიც ზოგადად გამოიყენება ურთიერთობის სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში.

ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ პოლიტიკური დისკურსის ვიწრო, ვან დეიკისეულ ინტერპრეტაციას, რომლის თანახმადაც პოლიტიკური დისკურსი განისაზღვრება როგორც პოლიტიკური სფეროთი შემოფარგლული ჟანრი, რომელსაც სპეციფიკური ენობრივი თეზაურუსი, გარკვეული ფუნქციური დანიშნულება და კომუნიკაციური ზემოქმედება აქვს. ვან დეიკის კონცეფციაში, პოლიტიკური დისკურსი პოლიტიკოსების დისკურსია და თუ მას მოვაქცევთ პროფესიონალურ ჩარჩოში, იგი შეიძლება ჩაითვალოს დისკურსის ინსტიტუციონალურ ფორმად [Van Dijk 1998: 124]. ეს კი ნიშნავს, რომ პოლიტიკოსების დისკურსად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის დისკურსები, რომლებიც რეალიზდება ისეთ საინსტიტუციო გარემოში, როგორიცაა სამთავრობო სხდომები, საპარლამენტო სესიები, პოლიტიკური პარტიის ყრილობები, წინასაარჩენო კამპანიები, პოლიტიკური დებატები და სხვ. ანუ სიტუაციები, სადაც მეტყველი სუბიექტის მიერ აზრის გამოთქმა ხდება პოლიტიკოსის ამპლუაში შესაბამის ინსტიტუციონალურ გარემოში.

კვლევის ინტერდისციპლინური და ინტერპარადიგმული მეთოდოლოგიის საფუძველზე, ჩვენ პოლიტიკურ დისკურს განვიხილავთ როგორც ტექსტის საშუალებით განხორციელებულ ინტერსუბიექტურ და ინტერაქციულ ქმედებას, რომლის უმთავრესი მიზანია ბრძოლა პოლიტიკური ძალაუფლებისათვის (მისი სხვადასხვა გამოხატულებით) საზოგადოებრივი აზროვნების ვერბალური მანიპულირების გზით. "დისკურსის თეორიაში" ინტერაქციულობა გულისხმობს კომუნიკანტთა თანამონაწილეობას სამეტყველო ურთიერთობის პროცესში, მაშინ როდესაც ინტერსუბიექტურობა გაიგება, როგორც ფსიქოლოგიურად და ფენომენოლოგიურად განცდილი ერთობლიობა [Макаров 2003: 39]. შესაბამისად, სამეტყველო ურთიერთობის პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პრაგმატიკული ასპექტის კვლევას, რადგან პრაგმატიკა ითვალისწინებს კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციებს, რომლებშიც კონკრეტული კომუნიკანტები მონაწილეობენ თავიანთი ჩანაფიქრებით და ფსიქოემოციური განწყობით. შესაბამისად, აქცენტი კეთდება იმაზე, თუ სად, როდის, ვის მიერ, რა ფორმით, რა ინტენციონალურ-ილოკუციური ძალით იმართება პოლიტიკური დისკურსი და ვისზეა ის ორიენტირებული – მასებზე, გარკვეულ სოციალურ ჯგუფებზე თუ კონკრეტულ პიროვნებებზე. ამის საშუალებას კი იძლევა ინტერპარადიგმული კვლევა ენობრივი ნიშნის სამგანზომილებიანი სემიოტიკური მოდელის გამოყენებით, რის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება, გამოვლენილ და განზოგადებულ იქნეს ენობრივ-პრაგმატიკულ მახასიათებელთა მთელი სისტემა, რომელიც პოლიტიკური დისკურსის ჟანრობრივ ტიპობრიობას ქმნის. ჩვენი აზრით, ასეთ მახასიათებლებლად შეიძლება ჩაითვალოს:

1. ინსტიტუციონალობა და მისი ილოკუციური დანიშნულება. ადამიანი ამა თუ იმ ტიპის ინსტიტუციონალურ დისკურსულ სივრცეში შედის არა მარტო გარკვეული სოციალური როლით, არამედ გარკვეული მიზნებითაც. მაგალითად, *სამეცნიერო დისკურსის* ფუნდამენტური მიზანია პოლემიკა სიმართლის ძიებაზე სინამდვილის მეცნიერული შემეცნების პროცესში; *რელიგიური დისკურსის* დანიშნულება მდგომარეობს ადამიანთა სარწმუნოებრივ გაერთიანებაში; *იურიდიული დისკურსი* ორიენტირებულია სოციუმის

სუბიექტებს შორის სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირებაზე; *პედაგოგიური დისკურსის* მიზნობრივი დანიშნულება შეიძლება განისაზღვროს, როგორც პიროვნების სოციალიზაცია. მათგან განსხვავებით, *პოლიტიკური დისკურსის* ინტენციონალურ ბაზას წარმოადგენს ბრძოლა პოლიტიკური ძალაუფლებისათვის მისი სხვადასხვა გამოხატულებით, იქნება ეს: ძალაუფლების სათავეში მოსვლა, მისი განხორციელება, გადანაწილება და განმტკიცება, ბრძოლა არჩევნებში გამარჯვებისათვის თუ სხვა.

2. ენობრივი დიგლოსია ანუ ენის პროპაგანდისტულ-პოლიტიკური და ზოგადსაკომუნიკაციო ქვესისტემების თანადროული რეალიზება. ავსტრიელი ლინგვისტის ვოდაკის აზრით, პოლიტიკური ენა თითქოსდა ორ პოლუსს შორის იმყოფება. ერთი მხრივ, იგი წარმოადგენს ფუნქციურად განპირობებულ სპეციალურ ენას, ხოლო მეორე მხრივ – გარკვეული იდეოლოგიის მქონე ჯგუფის ჟარგონს, რის გამოც პოლიტიკურ ენას ეკისრება ურთიერთსაწინააღმდეგო ფუნქციების შესრულება: იგი უნდა იყოს გასაგები ფართო მასებისათვის და ამავდროულად, უნდა შეეძლოს ორიენტირება გარკვეულ სოციალურ ჯგუფებზე [Wodak, 1989: 138].

3. ინფორმატულობის სპეციფიკურობა, რაც განპირობებულია პოლიტიკური დისკურსის ილოკუციური დანიშნულებით და მისი ინსტიტუციონალობის ტიპით. შესაბამისად, პოლიტიკოსის დისკურსი შეიძლება იყოს *ინფორმაციული,* ამ ტერმინის ლინგვისტური გაგებით ანუ სიახლეზე ორიენტირებული; *ფატიკურ-კონვენციური,* რომელიც სტერეოტიპული და რიტუალური ხასიათისაა და არ არის ორიენტიებული ახალი ინფორმაციის მიწოდებაზე (მაგალითად, პრეზიდენტის სიტყვა ინაუგურაციის ცერემონიალზე.) და *ემოციურ-ექსპრესიული,* რომლის ძირითად დანიშნულებასაც წარმოადგენს მასებზე აქტიური ზემოქმედება (ასეთი ემოციურ-ექსპრესიულობით განსაკუთრებით გამოირჩევა პოლიტიკოსების წინასაარჩევნო გამოსვლები და დებატები).

4. პოლემიკურობა და თეატრალურობა. გამომდინარე პოლემიკის ცნებითი შინაარსიდან (ბერძ. *Polemikos* – "საომარი", "მტრული"), იგი მიზნად ისახავს კამათისა და „საომარი მოქმედებების გადატანის გზით, ბრძოლის ველიდან პოლიტიკურ სცენაზე" საკუთარი პოლიტიკური იდეების და ღირებულებების პროპაგანდას და მათ ინკორპორირებას ადრესატის ცნობიერებაში, რითაც ერთდროულად ხდება ამ უკანასკნელის მხარდაჭერის მოპოვება და პოლიტიკური მოწინააღმდეგის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებისა და ემოციების პროვოცირება. ამით აიხსნება ის გარემოება, როდესაც პოლიტიკოსის გამოსვლა მისი თანამოაზრეების მიერ პოზიტიურად ფასდება, მაშინ როდესაც პოლიტიკური ოპონენტების მიერ იგივე გამოსვლა ნეგატიურად, ზოგჯერ კი შეურაცხმყოფელადაც კი აღიქმება. პოლიტიკური კამათი ხშირად გადაიზრდება სიტყვებით ომში. პოლიტიკური დისკურსის პოლემიკურობა და თეატრალურობა მთელი სისრულით წარმოჩინდება საარჩევნო კამპანიებსა და დებატებში, როდესაც პოლიტიკური სუბიექტის ან პარტიის გამარჯვება დამოკიდებულია არა მარტო მათ იდეოლოგიურ პლატფორმაზე, არამედ იმაზე, თუ რამდენად შეძლო იმიჯმეიკერების მიერ დადგმულმა პოლიტიკურმა სპექტაკლმა ფართო მასებზე ზემოქმედების მოხდენა.

5. სლოგანურობა, რაც შეიძლება მიჩნეულ იქნეს თავისებურ სოციალურ-პოლიტიკურ რეკლამად. განსხვავებით კომერციული რეკლამისაგან, რომლის ფუნქციურ დანიშნულებას წარმოადგენს საზოგადოების მყიდველობითი აქტივობის სტიმულირება ინფორმირების გზით, პოლიტიკური სლოგანი ორიენტირებულია იდეოლოგიური ურთიერთობების რეგულირებაზე საზოგადოებაში მისი ინფორმირებით პოლიტიკური მოღვაწეების ან გაერთიანებებისა და პარტიების იდეოლოგიურ-კონცეპტუალური პლატფორმის შესახებ. პოლიტიკური სლოგანის ეფექტურობას განსაზღვრავს ის, თუ ადრესატისათვის რამდენად საინტერესო და მისაღებია, მასში კომპაქტურად დეკლარირებული იდეოლოგია.

6. აზრობრივი გაურკვევლობა და ეზოთერულობა. დისკურსის ეს მახასიათებლები, ჩვენი აზრით, წარმოადგენს პოლიტიკოსის კომუნიკაციურ-პრაგმატიკულ სტრატეგიას, რომელიც მიზნად ისახავს:

- არასასურველი ინფორმაციის და ფაქტების ნეიტრალიზაციას და შენიღბვას;
- სიმართლის დამალვას და მასებში დაბნეულობის და შიშის შეგნებულად გამოწვევას;
- ანონიმურობას და დეპერსონალიზაციას პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად;
- საკუთარი რეიტინგის გადარჩენას;
- დისკურსის მსვლელობისას უკიდურესობების და კონფლიქტების თავიდან აცილებას.

7. აქსიოლოგიურობა. ამ ცნებაში ვგულისხმობთ იდეოლოგიურ და მორალურ შეფასებითობას, რომელიც პოლიტიკურ დისკურსში ყოველთვის ფიგურირებს აშკარა თუ ფარული ფორმით.

8. მეტაფორულობა და სიმბოლოებით მანიპულირება. ეს თვისებები უშუალოდ არის დაკავშირებული პოლიტიკური დისკურსის ექსპრესიულობა-ემოციურობასთან, რომელიც, თავის მხრივ, მიზნად ისახავს ზემოქმედებითი ეფექტურობის გაზრდას. ცნობილია, რომ პოლიტიკოსები ენის ფიგურალურ გამოყენებას საზოგადოებრივი ცნობიერების მანიპულირების მიზნით მიმართავენ კრიზისულ სიტუაციებში, როდესაც ისინი ცდილობენ საზოგადოების დარწმუნებას ისეთი რადიკალების დაჯერებასა და გაკეთებაში, რასაც სხვა შემთხვევაში ის არ გააკეთებდა და არც დაიჯერებდა. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს, მაგალითად, ჯორჯ ბუშის ის პოლიტიკური განცხადებები ერაყის ომთან დაკავშირებით, რომელთა საშუალებითაც მან შეძლო მოეპოვებინა ამერიკელი ხალხის უმეტესობის მხარდაჭერა, მიუხედავად მზარდი ანტისაომარი განწყობისა ქვეყნის შიგნით თუ მის გარეთ. მათი ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი ცხადყოფს, რომ ზემოქმედების ძირითად ინსტრუმენტს ბუშის გამოსვლებში წარმოადგენს სახელმწიფო აპარატის და შექმნილი სიტუაციის მეტაფორული მოდელირება, რასაც ავტორი აღწევს დისკურსის მსვლელობისას კოგნიტური მეტაფორების ეფექტური გამოყენებით [პოლიტიკური დისკურსის მეტაფორულ მოდელირებასთან დაკავშირებით იხ.: Chilton 1993; Lakoff 1995].

თეზისი მეტაფორული პოლიტიკური აზროვნების კრიზისული ბუნების შესახებ დადასტურებულია ექსპერიმენტით, რომელიც ჯერ კიდევ 1998 წელს ჩატარდა ამსტერდამის უნივერსიტეტში პროფესორ ქრ. დე ლანდშერის ხელმძღვანელობით. ლინგვისტთა სპეციალურმა ჯგუფმა განახორციელა ევროპარლამენტის 700 წევრის 1981-1993 წლებში გამოსვლის ჩანაწერის შინაარსობრივი ანალიზი (content-analysis), რის შედეგადაც გამოვლენილ იქნა, რომ არსებობს პირდაპირი კავშირი ქვეყანაში შექმნილ სოციალურ-ეკონომიკურ

მდგომარეობასა და პოლიტიკოსის დისკურსის მეტაფორულობის ხარისხს შორის. კერძოდ, რაც უფრო დაძაბულია სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია ქვეყანაში, მით უფრო ხშირად მიმართავენ ევროპარლამენტის წევრები თავიანთ გამოსვლებში პესიმისტური და აგრესიული შინაარსის მეტაფორებს. ეს კი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ პოლიტიკური დისკურსის მეტაფორულობა შეიძლება ჩაითვალოს ქვეყნის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური კრიზის მაჩვენებლად [De Landtsheer 1998].

9. ადრესატის და მისი ინტერაქციულობის თავისებურება. მათგან, *ადრესატის სპეციფიკურობა* განისაზღვრება იმით, რომ პოლიტიკური დისკურსი ყოველთვის გათვლილია ორმაგ აუდიტორიაზე: კონკრეტულ საზოგადოებაზე, რომელიც უშუალოდ ესწრება დისკურსს და მონაწილეობს, და ე.წ. "იმპლიცირებულ აუდიტორიაზე", რომლის მიღმაც ხალხის ფართო მასები, ზოგჯერ კი ქვეყნის მთელი მოსახლეობა მოიაზრება.

ადრესატის ინტერაქციულობის თავისებურება კი გამოხატულებას პოვებს პოლიტიკური დისკურსის რეცეფციის დიფერენცირებაში სხვადასხვა ტიპებად, რომლებიც ძირითადად შეიძლება იყოს: პასიური, აქტიურ-მხარდაჭერითი და ოპოზიციურ-ანტაგონისტური.

10.კონტაქტირების სპეციფიკურობა და მასმედიაზე დამოკიდებულება, რაც გულისხმობს ადრესატთან უშუალო ან მასმედიის საშუალებით ურთიერთობას. დისკურსის არც ერთი ჟანრობრივ-ფუნქციური ტიპი არ არის იმდენად დამოკიდებული მასმედიის ფაქტორზე, როგორც პოლიტიკური დისკურსი. შეიძლება ითქვას, რომ იგი წარმოადგენს მასებზე პოლიტიკური ზემოქმედების მთავარ ინსტრუმენტს, რომელიც მედიატორის როლში გვევლინება პოლიტიკურ სუბიექტსა და ხალხს შორის. ამით აიხსნება როგორც სახელმწიფოს პრესინგი მასმედიაზე, ისე პოლიტიკოსების სწრაფვა მასზე გავლენის მოსაპოვებლად [Nimmo and Combs 1983, Шейгал, 2004).

ჩვენ მიერ შემოთავაზებული ენობრივ-პრაგმატიკული მახასიათებლების ანალიზი აშკარად მეტყველებს, რომ პოლიტიკური დისკურსი წარმოადგენს მრავალგანზომილებიან რთულ ლინგვოსემიოტიკურ ფენომენს, რომლის თითოეული განზომილებაც კვლევათა მთელ სერიას საჭიროებს. სპეციალური ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი გვიჩვენებს, რომ პოლიტიკური დისკურსის ჟანრობრივი სივრცის დიფერენცირება შესაძლებელია სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით [Safire, 1993; Hacker, 1996]. მათგან ყველაზე აქტუალურად გვესახება:

1. დიფერენცირება ინსტიტუციონალობის პარამეტრის მიხედვით, რაც იძლევა პოლიტიკური დისკურსის ფუნქციურ-სემანტიკური ტიპოლოგიის შესაძლებლობას (მაგალითად, პრეზიდენტის გამოსვლები, საპარლამენტო დისკუსიები, პარტიის ყრილობები, წინასაარჩევნო კამპანიები, პოლიტიკური დებატები და სხვ.). მიგვაჩნია, რომ კვლევის ამ რაკურსით წარმართვა უაღრესად საინტერესოა სტილისტური თვალსაზრისითაც, რადგან პოლიტიკური დისკურსის ინსტიტუციონალური დიფერენცირება გამოხატულებას პოვებს მეტყველების ფუნქციურ-სტილისტურ გრადუირებაში ფორმალურ-ოფიციალური რეგისტრიდან ზოგადკომუნიკაციურ ენამდე.

2. დიფერენცირება ინტერსუბიექტური ანუ ადრესანტ-ადრესატის ურთიერთობების მიხედვით, რის საფუძველზეც ლინგვისტურ ლიტერატურაში განიხილავენ სამი ძირითადი ტიპის პოლიტიკურ დისკურსს: საზოგადოებრივ-ინსტიტუციონალურს, ინტერინსტიტუციონალურს, დისკურსს პოლიტიკურ ინსტიტუტსა და მოქალაქეს შორის [Шейгал 2004: 234-236].

ვფიქრობთ, პოლიტიკური დისკურსის ინტერსუბიექტურობის პარამეტრით კვლევამ შეიძლება გაცილებით მეტი და სპეციფიკური ურთიერთობები წარმოაჩინოს, რის გამოც ამ მიმართებით მუშაობის გაგრძელება პერსპექტიულად გვესახება.

3. სოციოკულტურული დიფერენცირება გულისხმობს პოლიტიკური დისკურსის ტიპოლოგიას მასში მონაწილე ჯგუფურ სუბიექტთა იდეოლოგიური ფასეულობების სისტემისა და კულტურული ნორმების მიხედვით. ემპირიული მასალის კვლევის შედეგად გამოვლენილია, რომ იდეოლოგიურად მარკირებულ კონცეპტთა აღმნიშვნელი ბაზური პოლიტიკური ლექსიკა განსხვავებულად გაიგება პოლიტიკური ოპონენტების მიერ, რაც მეტყველებს სხვადასხვა იდეოლოგიური თეზაურუსების არსებობაზე ენის მატარებელთა ცნობიერებაში. პოლიტიკური დისკურსის სოციოკულტურული ვარიანტები ობიექტურ მეცნიერულ განზოგადებას ექვემდებარება, რის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება მათი ინტეგრალური და დიფერენციალური ენობრივ-პრაგმატიკული მახასიათებლების დადგენა.

ყურადღებას იმსახურებს ამერიკელი ლინგვისტების კვლევები, რომლებშიც გამოყენებულია *პოლიტიკური სოციოლექტის* ცნება [Safire 1993: 12]. ამ ცნებაში იგულისხმება პოლიტიკური დისკურსის გარკვეული იდეოლოგიურ-კულტურული შრე, რომელიც ჯგუფური სოლიდარობის ანუ კორპორატიულობის ინსტრუმენტს წარმოადგენს მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ენობრივი ფორმებით (მათ შორის, იდეოლოგიური დომინანტური ფასეულობების აღმნიშვნელი სიტყვების სისტემით და ემოციურად მარკირებული აქსიოლოგიური ლექსიკით, სლოგანებით, ციტატებით, ალუზიებით და სხვა, რომლებიც ასახავს შესაბამისი სოციალური ჯგუფის პოლიტიკურ პლატფორმას), სამეტყველო სტილით, სტრატეგიით და ტაქტიკით. უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური დისკურსის სოციოლნგვისტური კვლევა კვლავაც აქტუალურია თავისი მნიშვნელობით და იგი მეცნიერთა განსაკუთრებული ყურადღების საგანს წარმოადგენს.

4. დიფერენცირება პერფორმატიულობის მიხედვით. იგი ეფუძნება ოსტინისეულ განმარტებას, რომლის თანახმადაც პერფორმატიულად განიხილება ისეთი გამონათქვამი, რომლის წარმოთქმაც თავისთავად შემდგარი ქმედებაა [Austin, 1962: 34]. მიგვაჩნია, რომ პერფორმატიული პოლიტიკური გამონათქვამების კვლევა, მათი დიფერენცირება და ენობრივ-პრგმატიკული მახასიათებლების დადგენა ისევე პერსპექტიული და საინტერესოა, როგორც პოლიტიკური დისკურსის ტიპოლოგიური კვლევა სხვა პარამეტრებით.

ასეთია პოლიტიკური დისკურსის ინტერდისციპლინური და ინტერპარადიგმული კვლევის ჩვენეული ხედვა. იგი შეიძლება ჩაითვალოს ამ მრავალგანზომილებიანი ფენომენის სემიოტიკური ანალიზის ერთ-ერთ ვერსიად, რომელიც უდავოდ საჭიროებს გაშლას და შემდგომ დახვეწას.

რეზიუმე

პოლიტიკური დისკურსი წარმოადგენს ინტერდისციპლინური კვლევის საგანს, რაც შესაძლებელს ხდის გამოვლენილ იქნეს ურთიერთკავშირი მის პოლიტოლოგიურ, სოციოლოგიურ, ინტერსუბიექტურ, კულტურულ და კოგნიტიურ ასპექტებს შორის. შესაბამისად, მკვლევართა ყურადღების ცენტრში ექცევა პოლიტიკური დისკურსის მოდელირების ისეთი თეორიული საკითხები, როგორიც არის პოლიტიკური ტექსტების წარმოქმნისა და ფუნქციონირების მექანიზმები, პოლიტიკური მეტაფორების ანალიზი პოლიტიკური სამყაროს შემეცნებაში, პოლიტიკოსის სამეტყველო ქმედების განზოგადება, მისი სტრატეგიის ვერბალური და რიტორიკული საშუალებების კვლევა და სხვ. პოლიტიკური დისკურსი განიხილება როგორც სპეციფიკური სემიოტიკური სისტემა, რომლის კვლევაც უნდა განხორციელდეს ინტერპარადიგმულ ჭრილში ვერბალური ნიშნის სამგანზომილებიანი მოდელით მისი სემანტიკური, სინტაქსიკური და პრაგმატიკული თავისებურებების გათვალისწინებით.

Нино Кирвалидзе

Политический дискурс, как предмет интердисциплинарных и интерпарадигматических исследований

Резюме

Исследование политического дискурса носит ярко выраженный интердисциплинарный характер, который позволяет установить взаимоотношения между политологическим, социологическим, межличностным, культурным и когнитивным аспектами политической коммуникации. Соответственно, на повестку дня выходят такие вопросы теоретического моделирования политического дискурса, как выявление механизмов порождения и функционирования политических текстов, анализ политических метафор, как способа осмысления мира политики, характеристика речевого поведения политика, изучение вербальных и риторических стратегий в его политической деятельности и т.д. В данной работе развивается концепция, согласно которой политический дискурс представляет собой своеобразную семиотическую систему, исследование которой должно осуществлятся в «трёхмерном пространстве языка» по интерпарадигматической модели с учетом семантических, синтаксических и прагматических особенностей вербального знака.

Nino Kirvalidze

Political Discourse as a Subject for Interdisciplinary and Interparadigmatic Studies

Summary

Political discourse is a subject for interdisciplinary studies which aims to reveal the relationship among its politological, sociological, interpersonal, cultural and cognitive aspects. We consider its linguistic research of paramount importance as political thought and actions are inseparable from political speech. In fact, any political idea or action is born, prepared, realized and controlled with the help of language. The growth of interest towards political discourse has brought the birth of a new trend in linguistics - the trend of so called political linguistics. Such a situation is quite natural as throughout different stages of its development linguistic theory has always demonstrated great interest for the functional studies of the language system in various spheres of real life. The interdisciplinary study of political discourse in itself implies its interparadigmatic analysis which we consider to be the only way to reveal and define those linguistic and extralinguistic characteristics the set of which builds up genre-stylistic typicality of political discourse. We think that the main instrument of such analysis of political discourse is its semiotic interpretation according to the Pierce-Morrisean three-dimensional model via its cognitive-semantic, structural-systemic and anthropocentristic-communicative paradigms of research that enables us to reveal and generalize the semantic, syntactic and pragmatic peculiarities of the textuality of political discourse as well as the specific features of communicative intentions and strategies, employed by politicians in their discourse.